ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 181

"27" აპრილი 2026 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, №35-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის შესახვევი №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.18.06.012.145 - ფართობი 6200 კვ.მ; №01.18.06.012.148 - ფართობი 6042 კვ.მ) მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3, 39^5 მუხლების და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, №35-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის შესახვევი №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან №01.18.06.012.145 - ფართობი 6200 კვ.მ; №01.18.06.012.148 - ფართობი 6042 კვ.მ) მიწის ნაკვეთებთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 აპრილის №26.691.761 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის ვადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, №35-ში; ქალაქი თბილისი, კრწანისის შესახვევი №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.18.06.012.145 - ფართობი 6200 კვ.მ; №01.18.06.012.148 - ფართობი 6042 კვ.მ) მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს №01.18.06.012.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სექტორი №1) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.2-დან კ-2=2.3-მდე საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი ჭრილების/ფასადების შესაბამისად, ხოლო №01.18.06.012.148 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (სექტორი №3) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.9-დან კ-2=2.2-მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) მიწისზედა სართულის მქონე მრავალფუნქციურ

შენობაზე 2 (ორი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 5 (ხუთი) მიწისზედა სართულიანი შენობის განთავსებას.

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, შემოსულობების №300773297 სახაზინო კოდზე, კერძოდ, ქალაქ თბილისში, კრწანისის II შესახვევი №35-ში არსებულ 6 200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.145) კ-2 კოეფიციენტის 2.2-დან 2.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 479,936.37 (ოთხას სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი და ოცდაჩვიდმეტი მეასედი) ლარს, ხოლო ქალაქ თბილისში, კრწანისის შესახვევი №17-ში არსებულ 6 042 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.148) კ-2 კოეფიციენტის 1.9-დან 2.2-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,391,886.00 (ერთი მილიონ სამას ოთხმოცდათერთმეტი ათას რვაას ოთხმოცდაექვსი) ლარს.

3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

4. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია საპროექტო შენობ(ებ)ის მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე უნდა წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

ელექტრონული საგადახდო დავალება No 0478

Transfer Order No 0478

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 49661650505

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს გრანდე ჯგუფი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE18BG0000000160821539GEL

თანხა/Amount
479936.37 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხას სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს გრანდე ჯგუფი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404557127

საკომისიო/Commission
0 GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773297

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
19/10/2026

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
განკარგულება N26.691.761 22.04.2026 კ-2 კოეფიციენტის 2.2-დან 2.3-მდე გადამეტების ღირებულება,საკადასტრო კოდი N 01.18.06.012.145

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 0478

Transfer Order No 0478

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 49661650505

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს გრანდე ჯგუფი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE18BG0000000160821539GEL

თანხა/Amount
479936.37 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხას სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი ლარი 37 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს გრანდე ჯგუფი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404557127

საკომისიო/Commission
0 GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773297

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
19/10/2026

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
განკარგულება N26.691.761 22.04.2026 კ-2 კოეფიციენტის 2.2-დან 2.3-მდე გადამეტების ღირებულება,საკადასტრო კოდი N 01.18.06.012.145

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: